დანართი No. 3

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

ხელოვნების ისტორიის და თეორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი
2026

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 9

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 10

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება 19

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 27

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 31

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 41

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	კოსტას მანტზალოსი, ფრედერიკის უნივერსიტეტი, კვიპროსი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო სილაგაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ თხელიძე, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ხელოვნების ისტორია და თეორია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Art History and Theory
უმაღლესი განათლების საფეხური / პროგრამა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0213 სახვითი ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული № 835839, 09.07.2024
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

[2]თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.
[3]მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს და მოიცავს 120 ECTS კრედიტს. პროგრამა განვითარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანალიზის, სტუდენტების მოსაზრებების, შრომის ბაზრის კვლევის, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით. გადაიხედა სილაბუსები, დაიხვეწა სასწავლო კურსების შინაარსი ახალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, გაფართოვდა სასწავლო კურსების თემატიკა და განახლდა სასწავლო რესურსები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 26 მარტს. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან. ასევე განხორციელდა მატერიალურ - ტექნიკური ბაზის, მათ შორის ბიბლიოთეკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის და აუდიტორიების დათვალიერება.
  ფაკულტეტის თითოეული წევრი, ხელმძღვანელობიდან დაწყებული მოწვეული პერსონალით დასრულებული გამოხატავდა სამაგისტრო პროგრამის მიმართ ძლიერ მხარდამჭერას. დადებითი შთაბეჭდილება დატოვა სტუდენტების და კურსდამთავრებულების ენთუზიაზმით სავსე და მხარდამჭერმა ჯგუფმა, ასევე დაინტერესებული მხარეების პოზიტიურმა დამოკიდებულებამ. დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ხელს უწყობს ხარისხს, თანასწორობას, მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას.
  დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები მოქმედებენ შეთანხმებულად, რაც ქმნის ხარისხის შენარჩუნების ყოვლისმომცველ სისტემას.

  წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და გასაუბრებების ფარგლებში შეგროვებული კონსტრუქციული უკუკავშირის საფუძველზე, დადსტურდა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ორი წლის წინ განხორციელებული შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები. უნივერსიტეტმა არა მხოლოდ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაციები, არამედ უზრუნველყო მათი ეფექტურად განხორციელება. აღნიშნული აჩვენებს უწყვეტი განვითარების მკაფიო ვალდებულებას და სამაგისტრო პროგრამის გასაძლიერებლად გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- **რეკომენდაციები**

რეკომენდაციები არ გაცემულა

- **რჩევები**

2.3 სასურველია, პროგრამაში გაფართოვდეს აქტიური სწავლების მიდგომების გამოყენება, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევების შესწავლა, კოლეგიალური კოლაბორაცია და გამოცდილებაზე დაფუძნებული პროექტები, ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
3.1 სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია და გააფართოვოს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები.

5.2 სასურველია, საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**
- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე:** დაწესებულება იზიარებს ექსპერტების პოზიციას, შესაბამისად, ექსპერტთა გუნდი ეთანხმება წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:
  - პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური / სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

    საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი პროგრამაში ჩართულია კანონმდებლობის და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად. კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, აკადემიური პერსონალი შეირჩევა და ინიშნება ღია კონკურსის წესით. 2024 წელს აწსუ-ში პროფესორის თანამდებობაზე (6 წლის ვადით) ღია კონკურსის წესით შერჩეულ იქნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირები. რაც შეეხება ასოცირებულ პროფესორებს, ისინი 2014 წელს შეირჩნენ ღია კონკურსის წესით, ხოლო 2025 წელს გაიარეს ატესტაცია, რომლის ფარგლებშიც შეფასდა მათ მიერ წინა 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაო. ხელოვნების ისტორიის და თეორიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 4 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ - პროფესორი, 1 ემერიტუს პროფესორი და 2 მოწვეული სპეციალისტი. ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი შეადგენს 1-ს.

---

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

- სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერეცნიებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის და თეორიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აქტიური სამეცნიერო პროდუქტიულობა გამოიხატება რეცენზირებად და საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალებში პუბლიკაციების, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, საგრანტო სამეცნიერო პროექტებში და დაწესებულების კვლევით ინიციატივებში მონაწილეობით. უნივერსიტეტი სისტემატურად ახორციელებს სამეცნიერო საქმიანობის შედეგების მონიტრინგს პუბლიკაციებთან, კონფერენციებში მონაწილეობასთან, ციტირების გავლენასთან, გრანტებთან, პატენტებთან და კომერციალიზაციის აქტივობებთან დაკავშირებული მაჩვენებლების საფუძველზე.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეინარჩუნა აკადემიური პერსონალის სტაბილური სტრუქტურა და შენარჩუნების მაღალი მაჩვენებლები აფილირების მექანიზმების გამოყენებით. პერსონალის გადინება ძირითადად დაკავშირებული იყო პენსიაზე გასვლასთან და პერსონალის განახლებასთან. ადამიანური რესურსების პოლიტიკის და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების მეშვეობით, უნივერსიტეტი აქტიურად უზრუნველყოფს ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის მიღებას, მემკვიდრეობითობის დაგეგმვას, პროფესიულ განვითარებას და პერსონალის შენარჩუნებას.

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

  ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტების მიღების და პროგრესის სტაბილური მაჩვენებელი. ყოველწლიურად სტუდენტების ადგილების რაოდენობა ცხადდება დაწესებულების შესაძლებლობების და ეროვნული მიღების პროცედურების შესაბამისად. უნივერსიტეტი სისტემატურად ახორციელებს სტუდენტების პროგრესის მონიტორინგს სემესტრული შეფასების, ECTS კრედიტების დაგროვების, შენარჩუნების, მობილობის და დასრულების მექანიზმების მეშვეობით. აწსუ ასევე უზრუნველყოფს სტუდენტთა უწყვეტობას

შიდა მობილობის შესაძლებლობების, დამატებითი სემესტრების და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების მეშვეობით.

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია**
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია**
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია**
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია**
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	**შესაბამისობაშია**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია**
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია**
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია**
2.4	სტუდენტების შეფასება	**შესაბამისობაშია**
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	**შესაბამისობაშია**
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	**შესაბამისობაშია**
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელეს კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია**
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია**
4.4	მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია**
5	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**
5.2	გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია**

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები]

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო]

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე

[შეფასების კრიტერიუმები]

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ - ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის და ვიზიტის დროს რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, უნივერსიტეტის ხედვას, მისიას, ზოგად მიზანებს და ამოცანებს. უნივერსიტეტის და პროგრამის მიზანია მოამზადოს

კურსდამთავრებულები, რომლებიც შეძლებენ ხელოვნების ისტორიის და თეორიის სფეროში გამოავლინონ მაღალი პროფესიონალიზმი ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე.
სამაგისტრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნების საზოგადოებრივი წვლილი განისაზღვრება სწავლის სფეროს დისციპლინით და გამოიხატება საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობაში და ხელოვნებასა და ისტორიაში ახალგაზრდების აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფით. პროგრამის მიზნები ხელს უწყობს კურსდამთავრებულებში პროფესიული ღირებულებების განვითარებას, თანამედროვე სოციალური და სოციალურ - პოლიტიკური ცხოვრების დაფასებაში და ისტორიასა და თეორიაში საკუთარი თეორიული და ინტელექტუალური როლის გააზრებას, კერძოდ მხატვრულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო - კვლევით, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის და დაცვის, ურბანული და მხატვრულ - შემოქმედებითი მიმართულებების და კულტურული ტურიზმის სფეროებში. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა მსგავსი დარგების განმახორციელებელი მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკის გათვალისწინებით. ვიზიტის დროს ადგილობრივი ფაქტორი მკვეთრად იქნა ხაზგასმული არა მხოლოდ უნივერსიტეტის, არამედ დამსაქმებლების და დაინტერესებული მხარეების მხრიდანაც.
მოკლედ რომ ითქვას, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად ხელოვნების ისტორიის და თეორიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური ხელოვნებათმცოდნის მომზადება:
მსოფლიო და საქართველოს ხელოვნების ისტორიის განვითარების ეტაპების, მხატვრული მიმართულებების ძირითადი მახასიათებლების და ტენდენციების, ასევე მხატვრული შემოქმედების კანონზომიერებების, პრინციპებისა და კონცეფციების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემით,

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და მართვის, სამუზეუმო და საარქივო საქმის, ხელოვნების მენეჯმენტის ასპექტების შესწავლით,

მხატვრული ნაწარმოების შეფასების და კრიტიკული ანალიზის, მხატვრული ფორმის სპეციფიკის და სტრუქტურის, ფორმის წარმოქმნის ნიშნების, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს პრობლემური საკითხების ინტერდისციპლინური განხილვის განზოგადების და პარალელების გავლების უნარების განვითარებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- კითხვა - პასუხის სესიები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

[რეკომენდაცები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან / და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის და ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფისმიერ ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება ხელოვნების ისტორიის და თეორიის სფეროს მოთხოვნებს. სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა ეტაპობრივი და თანმიმდევრულ პროცესის ფარგლებში, სამაგისტრო პროგრამის დისციპლინის თავისებურებების გათვალისწინებით. ეტაპობრივი პროცესი ასევე მოიცავდა დაინტერესებული პირების მონაწილეობას, კერძოდ, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ფაკულტეტის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ასევე დამსაქმებლების / გარე შემფასებლის ჩართულობას. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები სტუდენტებში ავითარებენ პასუხისმგებლობის გრძნობას პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელების უზრუნველსაყოფად. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შინაარსს და თანხვედრაშია კვალიფიკაციის დონესთან, დეტალური სფეროს აღმწერთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და მაგისტრის ხარისხთან.
გარდა ამისა, სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სწავლის სფეროს თავისებურებებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

სწავლის შედეგები ეფუძნება კვალიფიკაციების მე-7 დონის აღმწერს და იყოფა 3 ძირითად კატეგორიად:

- ცოდნა და გაცნობიერება
- პრაქტიკული უნარები
- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

აღნიშნული 3 კატეგორიის საშუალებით პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოა და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რომელიც სტუდენტს ესაჭიროება შემოქმედებით ინდუსტრიაში და აუცილებელია ხელოვნების თეორიის, ფილოსოფიის, კრიტიკის და დაკავშირებულ დარგებში უახლესი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების მოსამზადებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- კითხვა - პასუხის სესიები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რეგულარულად ფასდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები. ყოველსემესტრულად ხორციელდება თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასება. რეგულარულად გროვდება სტატისტიკური მონაცემები და მუშავდება ანალიზის მიზნით. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება შეფასებებიდან მიღებული მონაცემების ანალიზს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგს. სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით. პროცესი მოიცავს სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების რეგულარულ შეფასებას.

სწავლის შედეგები ფასდება როგორც პირდაპირი (სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი), ისე არაპირდაპირი (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები) შეფასების მეთოდების გამოყენებით.
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს ოთხ ეტაპს:
1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება;

2. სასწავლო გეგმის ანალიზი, რომლის დროსაც განისაზღვრება, უზრუნველყოფილი არიან თუ არა სტუდენტები პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საკმარისი შესაძლებლობებით;

3. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, რომელიც მოიცავს მონაცემების შეგროვებას, ანალიზს და განმარტებას სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების სასურველი დონის მიღწევის დასადგენად;

4. შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უკუკავშირის სქემები საკმარისია და კარგად არის ჩამოყალიბებული. პროგრამაში თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია სათანდო სამიზნე ნიშნულები. უსდ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების რეგულარულ შეფასებას და მონიტორინგს, დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან შედარებას და პროცედურას, რომელიც შეფასების შედეგებს აკავშირებს პროგრამის გაუმჯობესებასთან. შეფასების სქემა მოიცავს კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სავალდებულო კურსებს, ასევე არსებულ სპეციალიზაციებს შორის. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა შეიმუშავა სასწავლო გეგმის დეტალური რუკა - სქემა რომელიც სასწავლო კურსებს აკავშირებს პროგრამის სწავლის შედეგებთან.
პროგრამის პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვის და ანალიზისათვის საჭირო უნარების განვითარებაში. სასწავლო კურსის ფარგლებში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდება სასწავლო კურსის და სავალდებულო კომპონენტების დასრულების შემდეგ. შესაბამისად, გათვალისწინებულია თანმიმდევრულობა და პერიოდულობა, ასევე პროგრამის თავისებურებები. უსდ დაინტერესებულ მხარეებს აცნობს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები
თვითშეფასების ანგარიში;

ადგილზე ვიზიტი;

კითხვა - პასუხის სესიები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან;

პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების შესაბამისობის სასწავლო გეგმის რუკა;

პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ - ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების (რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთნა, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან) შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ხელოვნების ისტორიის და თეორიის სამაგისტრო პროგრამის 2 წლიან ციკლს გააჩნია მკაფიო სტრუქტურა, რომელიც საქართველოს შემოქმედებით ინდუსტრიაში უზრუნველყოფს კვალიფიციური პროფესიონალების მოზადებას.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" შესაბამისად (გადაწყვეტილება N49 (17/18), N39 (20/21), 15.07.2021, N8 (22/23), 16.09.2022), რომლის მიზანია შედეგზე ორიენტირებული, მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება.

აღნიშნული სტრუქტურის ჩამოყალიბებისას უნივერსიტეტის ძალისხმევა მიმართული იყო საქართველოს კანონმდებლობასთან და ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ბოლონიის პროცესს და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემას. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს 2 წლის ანუ 4 სემესტრის მანძილზე. 1 აკადემიური წელი ითვალისწინებს 60 კრედიტს, სემესტრში 30 კრედიტს, ხოლო 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

ასევე დადასტურდა, რომ გათვალისწინებულია ორი წლის წინ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები. ამჟამად სამაგისტრო პროგრამა ფოკუსირებულია სახვითი ხელოვნების სფეროზე და მისი კურსები კარგად არის სტრუქტურირებული, განსაზღვრული წინაპირობები უზრუნველყოფს სწავლება - სწავლის პროცესის უკეთეს პროგრესიას.

ხელოვნების ისტორიის და თეორიის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სტრუქტურა განისაზღვრა შემდეგნაირად:

სავალდებულო კურსები - 105 კრედიტი,
პროგრამის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი.

სემესტრების მიხედვით საგანმანათლებლო კომპონენტების განაწილება ეფუძნება ხელოვნების ისტორიის სწავლების ქრონოლოგიურ პრინციპს. თუმცა საჭიროა სტრუქტურის შემდგომი გადასინჯვა. არ არის განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები, რაც შესაძლოა პრობლემური აღმოჩნდეს სტუდენტების პროგრესის თვალსაზრისით 2 წლიანი ციკლის ფარგლებში. პროგრამა ითვალისწინებს ახალ კვლევით მიგნებებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს, თუმცა უნივერსიტეტმაუნდა გააგრძელოს მუშაობა აღნიშნული მიგნებების განხორციელების უფრო სისტემური და მკაცრი პროცესის ჩამოყალიბებაზე. პროგრამაში გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაცია და პროგრამის უნიკალური მახასიათებლები, განსაკუთრებით რეგიონულ კონტექსტში, თუმცა აღნიშნული ძალისხმევა საჭიროებს შემდგომ გამოყენებას და განვითარებას.

პროგრამა აქვს ძლიერი ინტერდისციპლინური ამბიცია სახვითი ხელოვნების დარგში შექმნას გამორჩეული და საინტერესო სამაგისტრო პროგრამა. პროგრამაში ხელოვნების, არქიტექტურის, არქეოლოგიის, კინოსა და თეატრის თემატიკის გათვალისწინება ასახავს ხელოვნების პრაქტიკის და ვიზუალური კულტურის მდიდარ და თანამედროვე გაგებას.

პროგრამაში დაიხვეწა და დაზუსტდა კვლევითი ფოკუსი სახვითი ხელოვნების სფეროში. უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულმა ხედვამ ერთიან ჩარჩოში მოაქცია ინტერდისციპლინური ელემენტები, რომლებიც მხარს უჭერენ პროგრამის იდენტობას და აკადემიურ მიმართულებას.

მაგისტრატურის შედარებით მოკლე ხანგრძლივობის გათვალისწინებით, თანამედროვე ხელოვნებაზე, ვიზუალურ ხელოვნებაზე და ვიზუალურ კულტურაზე უფრო მკაფიოდ ფოკუსირებული მიდგომა გაზრდის სასწავლო გეგმის სიღრმეს და ეფექტურობას. აღნიშნული პროგრამას საშუალებას მისცემს დაეყრდნოს მის ინტერდისციპლინურ ძლიერ მხარეებს, ამავდროულად სტუდენტებისთვის უზრუნველყოს მკაფიო და მიღწევადი აკადემიური გზები და ინტერდისციპლინური მიდგომა მოაქციოს მხოლოდ სახვითი ხელოვნების სფეროს ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- კითხვა - პასუხის სესიები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში მიღებული მიგნებების საფუძველზე დადგინდა, რომ ხელოვნების ისტორიის და თეორიის სამაგისტრო პროგრამის 2 წლიანი ციკლი და კონკრეტულად მისი კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსები კარგად არის განსაზღვრული და მკაფიოდ აღწერს სწავლება - სწავლის აქტივობებს. სილაბუსებში მითითებულია სასწავლო მასალები, მათ შორის ბიბლიოგრაფია, შეფასება და სხვა სასწავლო რესურსები.
პროგრამის შესაბამისობა ბოლონიის პროცესთან ასევე მხარს უჭერს და ასაბუთებს შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირს. პროგრამის კრედიტების რაოდენობა შეადგენს 120 - ს, წელიწადში 60 კრედიტს და ითვალისწინებს როგორც საკონტაქტო საათებს, ასევე სტუდენტის პირად დროს თითოეული კურსის მიზნების მისაღწევად. 1 ECTS კრედიტი მოიცავს 25 სასწავლო საათს.
თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, როგორც ეს ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებში. თითოეულ კურსში / კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება შეფასების სისტემით განსაზღვრული კომპონენტების და კრიტერიუმების / რუბრიკების საფუძველზე. აღნიშნული სისტემა დეტალურად არის წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში და ჩამოთვლილია თვითშეფასების ანგარიშის დანართში. პროგრამის თითოეული კურსი კარგად არის შესწავლილი და აქტუალურია, ითვალისწინებს საქართველოს და საერთაშორისო ხელოვნების ისტორიის შესაბამის ტენდენციებს და უახლეს განვითარებებს. სილაბუსებში მითითებულთ სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება სწავლის სფეროს მიღწევებს და ითვალისწინებს დარგის უახლეს კვლევებს, სასწავლო კურსების სპეციფიკას, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო აქტივობებში ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ადგილობრივ ელემენტებს.

წინა რეკომენდაციების საფუძველზე სასწავლო კურსებში "კონტექსტუალური და კრიტიკული კვლევები" და "დისკურსის შესწავლა" გაძლიერდა სახვითი ხელოვნების სიღრმისეული სწავლება და უნარების განვითარება. გარდა ამისა, მსოფლიო და საქართველოს ხელოვნების ისტორიის სწავლება ამჟამად ეფუძნება ისტორიულ პერიოდებს ძველი ისტორიიდან თანამედროვე კულტურამდე. გადაიხედა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც ამჟამად მოიცავს კვლევის მეთოდებს, თავების სტრუქტურირებას და მითითებების სისტემებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- კითხვა - პასუხის სესიები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები.

[რეკომენდაცები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს სწავლის დონეს, პროგრამების სპეციფიკას და შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირების მიღებას.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გამოცემული 2.1 რეკომენდაცია ითვალისწინებდა პროგრამაში ჩარიცხვის მსურველთათვის უცხო (ინგლისური) ენის ცოდნის დონესთან დაკავშირებით გარკვეული მოთხოვნების შემუშავებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეიცვალა და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად;
2. სპეციალობასა და უცხო ენაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება; საგამოცდო კითხვები და გამოცდის ჩატარების წესი გამოქვეყნდება აწსუ-ს ვებგვერდზე - atsu.edu.ge, გამოცდის დაწყებამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე.

უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდება აპლიკანტი, რომელიც წარმოადგენს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, ან პირი, რომელმაც დაასრულა ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხის პროგრამა შესაბამის ენაზე;

პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია როგორც გარე, ასევე შიდა მობილობის გზით.

პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. შიდა და გარე მობილობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და

აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 თებერვლის №87(23/24) დადგენილებით „განათლების მიღების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და აღიარების წესის შესახებ“, რომელიც შემუშავდა და დამტკიცდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

აწსუ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ხოლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია ასევე მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში. დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიეწოდებათ საინფორმაციო შეხვედრებზე და ა.შ.

განხორციელების სტატუსი:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს დაემატა უცხო ენის ცოდნის მოთხოვნა.

- დაზუსტებულია უცხო ენაზე შიდა უნივერსიტეტის გამოცდის ჩაბარება.

- გამონაკლისი შემთხვევის პირობები ნათლად არის მითითებული (B2 დონის საერთაშორისო სერტიფიკატი ან შესაბამის ენაზე ბაკალავრის/მაგისტრის ხარისხი).

- უზრუნველყოფილია ინფორმაციის საჯაროობა (atsu.edu.ge, კატალოგი, ღია კარის დღეები).

- ცვლილება სრულად შეესაბამება რეკომენდაციის არსს და საერთაშორისო პრაქტიკას.

ექსპერტის რეკომენდაცია სრულად შესრულებულია. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს, რომ მაგისტრატურაზე ჩარიცხული სტუდენტები საკმარისად ფლობდნენ უცხო ენას, რაც პროგრამის ხარისხის, აკადემიური სტანდარტებისა და საერთაშორისო აქტუალობის გარანტიაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

-

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა სტუდენტებს განუვითარებს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად. კურსების სასწავლო გეგმები, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, დეტალურად აღწერს აქტივობებს (ჯგუფური აქტივობა, დისკუსია, პრეზენტაცია,

ესე, რეზიუმე და ა.შ.), რომელიც ორიენტირებულია შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. სასწავლო გეგმა ასევე დიდ როლს ასრულებს სტუდენტების სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობებში ჩართულობის კუთხით. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა კულტურულ, საგანმანათლებლო და შემოქმედებით ღონისძიებებში, მაგალითად, მონაწილეობენ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურულ, მხატვრულ და საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების მიერ ორგანიზებულ კულტურულ ღონისძიებებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024-2025 წლების სამეცნიერო პიკნიკში და ა.შ. დიდი მნიშვნელობა აქვს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და მოხალისეთა პროგრამას. უნივერსიტეტი ასევე აწყობს ყოველწლიურ „აწსუ -ს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სამეცნიერო კონფერენციებს“, სადაც სტუდენტები წარმოადგენენ სამეცნიერო ნაშრომებს. ექსპერტთა ბოლოდროინდელი რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომების გაუმჯობესებას იმგვარად, რომ ისინი, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის პერსპექტივიდან, წარმოადგენდნენ ვიზუალური ხელოვნების ობიექტების კვლევას, ამავდროულად გამოყენებული იყოს შესაბამისი სამეცნიერო მეთოდები. ექსპერტთა რეკომენდაცია შესრულებულია. განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს, რომ სამაგისტრო ნაშრომები არა მხოლოდ თემატურად, არამედ მეთოდოლოგიურადაც პასუხობდეს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროს მოთხოვნებს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პროგრამის აკადემიურ ხარისხსა და კვლევით ღირებულებას. 2024–2025 სასწავლო წელს სტუდენტთა ნაშრომების თემები (მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ქანდაკება): ნიკოლოზ კანდელაკი; იმერული ნატურმორტი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისა და 21 -ე საუკუნის პრაქტიკაში; ფელიქს ვარლამიშვილის შემოქმედება პარიზის მხატვრული ცხოვრების კონტექსტში) უკვე მოიცავს ვიზუალური ობიექტების შესწავლას და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მეთოდოლოგიას. სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის რეზიუმე („ფერისა და სინათლის პრობლემა ელენე ახვლედიანის ადრეულ პეიზაჟურ მხატვრობაში“) ასევე ადასტურებს, რომ კვლევა მიზნად ისახავს კონკრეტული ვიზუალური ობიექტის ან მხატვრული პრაქტიკის სამეცნიერო ანალიზს. თემები შეესაბამება რეკომენდაციის არსს: ისინი აერთიანებენ ხელოვნების ისტორიულ-თეორიულ ხედვას და იყენებენ შესაბამის სამეცნიერო მეთოდოლოგიას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:
- სტუდენტის ნაშრომები და სამაგისტრო ნაშრომის მონახაზი
- ინტერვიუ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალთან.
- მემორანდუმები, ხელშეკრულებები.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.atsu.edu.ge

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2.პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნებს. პროგრამის სტრუქტურა იძლევა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეძენის, ასევე ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობას. როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსები ითვალისწინებს სწავლების ისეთ ფორმებს, როგორიცაა ლექციები, პრაქტიკული/ჯგუფური სამუშაოები. სწავლის შედეგების მისაღწევად შერჩეული სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ორიენტირებულია პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე. მეთოდები განსხვავდება ინდივიდუალური სასწავლო კურსების მიხედვით და ასახულია პროგრამის სასწავლო გეგმის სწავლის შედეგების მატრიცაში. პროგრამა იყენებს წიგნზე დაფუძნებულ სამუშაოსა და დემონსტრაციას, განმარტებით, წერილობით სამუშაოს, დისკუსიას, ინდუქციურ და დედუქციურ მეთოდებს, ევრისტიკულ მეთოდებს, ინდივიდუალურ სწავლებას/ხელმძღვანელობას და ა.შ. სწავლების ეს მეთოდები დამტკიცებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ. გარდა ამისა, პროგრამის განმახორციელებელი

პერსონალი აქტიურად არის ჩართული მეთოდოლოგიურ ტრენინგებში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების/სწავლის ტრადიციულ ფორმებთან ერთად, საგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს ონლაინ პლატფორმებს - Microsoft teams, Moodle.

პროგრამის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნებს და აერთიანებს როგორც ტრადიციულ, ასევე ციფრულ მიდგომებს. პროგრამა იძლევა თეორიული ცოდნის / პრაქტიკული უნარების შეძენისა და როგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობას. ეს ბალანსი ასახავს კომპეტენციებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო ჩარჩოსთან შესაბამისობას. მეთოდები მოიცავს ლექციებს, ჯგუფურ მუშაობას, წიგნზე მუშაობას, დემონსტრირებას, განმარტებით და წერილობით სამუშაოებს, დისკუსიებს, ინდუქციურ/დედუქციურ მსჯელობას, ევრისტიკულ მიდგომებს და ინდივიდუალურ ხელმძღვანელობას. ამგვარი მრავალფეროვნება სხვადასხვა სასწავლო შედეგებთან და სტუდენტის საჭიროებებთან ადაპტირებას უზრუნველყოფს. მეთოდების დიფერენციაცია კურსების მიხედვით და მათი ასახვა სასწავლო გეგმის მატრიცაში სტრუქტურირებულ, შედეგზე ორიენტირებულ დიზაინზე მიუთითებს. ტრადიციულ სწავლების ფორმებთან ერთად Microsoft Teams-ისა და Moodle-ის გამოყენება, შერეული სწავლების მოთხოვნებთან და თანამედროვე საგანმანათლებლო პრაქტიკასთან შესაბამისობაზე მიუთითებს.

.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები
- ინტერვიუები სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალთან.

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- სასურველია, პროგრამაში გაფართოვდეს აქტიური სწავლების მიდგომების გამოყენება, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევების შესწავლა, კოლეგიალური კოლაბორაცია და გამოცდილებაზე დაფუძნებული პროექტები, ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად. წინასწარ განსაზღვრული შეფასების პროცედურები ასევე რეგულირდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული შიდა სამართლებრივი აქტებით, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის მართვის სამსახურის დებულებითა და აკადემიური საბჭოს დადგენილებებით (№5 (17/18), 15.09.2019; №6 (22/23), 16.09.2022). ეს დოკუმენტები ადასტურებს, რომ დაწესებულებაში შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ, შეფასების სამართლიან კრიტერიუმებს და უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სანდოობას და კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც დადებით, ასევე უარყოფით შეფასებებს:

- დადებითი ქულები:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - 51-60 ქულა;

- უარყოფითი ქულები:

(FX) ჩაჭრა (ხელახლა ჩაბარება დაშვებულია) – 41–50 ქულა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სტუდენტს დამატებითი სამუშაო სჭირდება და

დამოუკიდებელი მომზადების შემდეგ, მას ენიჭება გამოცდის ერთხელ თავიდან ჩაბარების უფლება.

(F) ჩაჭრა – 40 ქულა ან ნაკლები, რაც მიუთითებს არასაკმარის შესრულებაზე და კურსის ხელახლა გავლის აუცილებლობაზე.

უსდ-ს შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და შეფასების დებულება, რომლის მიხედვითაც დაცვას ახორციელებს კომისია და უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მიუთითებს, რომ ისინი მუდმივად არიან ინფორმირებულნი შეფასების მეთოდების შესახებ, როგორც ცალკეული კურსების ფარგლებში, ასევე ნაშრომის მომზადების მთელი პროცესის განმავლობაში. ისინი ასევე იცნობენ სამაგისტრო ნაშრომის რეგულაციებში ბოლო დროს განხორციელებულ ცვლილებებს.

შეფასების პროცედურები მოიცავს აკადემიურ და კვლევით ეთიკას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, პლაგიატის პრევენციას, გამოვლენასა და მასზე რეაგირებას. სამაგისტრო ნაშრომმა უნდა გაიაროს წინასწარი განხილვა და შეფასება და შემდგომ შემოწმდეს Moodle სისტემის მეშვეობით, Turnitin-ის პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. პროცედურა გულისხმობს მაგისტრანტებისა და ხელმძღვანელების პერსონალური მონაცემების IT სამსახურისთვის მიწოდებას, რაც უზრუნველყოფს მათ Moodle-ში რეგისტრაციას და ნაშრომების Turnitin-ში ვერიფიკაციას.

ინტერვიუების დროს ასევე ყურადღება გამახვილდა შეფასების გასაჩივრების პროცედურებზე. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გასაჩივრების მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ ცოდნა გამოავლინეს, რითაც დაადასტურეს სისტემის ეფექტურობა. აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №9 (17/18) დადგენილების თანახმად, საბოლოო გამოცდის შეფასებით უკმაყოფილო სტუდენტს შეუძლია, შედეგების ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში, შეიტანოს დასაბუთებული საჩივარი. სააპელაციო საჩივარს ორი სამუშაო დღის ვადაში განიხილავს ფაკულტეტის დეკანის მიერ დანიშნული კომისია, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას ამტკიცებს პრორექტორი და აისახება ელექტრონულ სისტემაში.

დაწესებულება განუწყვეტლივ აანალიზებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას, რაც დადასტურდა როგორც დოკუმენტაციით, ასევე ინტერვიუებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას,, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად; ის არის გამჭვირვალე, სანდო და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სწავლის პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება
- აკადემიური საბჭოს დადგენილებები №5 (17/18), 15.09.2019; №6 (22/23), 16.09.2022
- აკადემიური საბჭოს დადგენილება №9 (17/18), 10.11.2017 (სააპელაციო პროცედურა)
- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსის სილაბუსები

- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და შეფასების დებულებები
- ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#).

- ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[2.4. სტუდენტების შეფასება:](#)	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს მრავალფეროვან საკონსულტაციო და მხარდამჭერ მომსახურებას სთავაზობს. აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სტუდენტები განუწყვეტლივ იღებენ ინფორმაციას და კონსულტაციას სწავლის დაგეგმვის,

აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმების შესაძლებლობებისა და კარიერული განვითარების შესახებ.

დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიურ გარემოში ინტეგრაციას. სტუდენტებმა აღნიშნეს აქტიური მონაწილეობა სპორტულ, კულტურულ და გასართობ აქტივობებში, ასევე ექსკურსიებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში.

წინა აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ გაიცა რეკომენდაცია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებისა და სტუდენტური მობილობის შესაძლებლობების გაზრდის შესახებ: „რეკომენდებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და იმის უზრუნველყოფა, რომ სტუდენტებს მიეცეთ საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები, როგორც სემესტრული გაცვლითი პროგრამების, ასევე მოკლევადიანი საერთაშორისო პროექტების მეშვეობით.“ პროგრამის კოორდინატორებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. გაფართოვდა საერთაშორისო თანამშრომლობა, მემორანდუმები გაფორმდა ისეთ უნივერსიტეტებთან, როგორიცაა ევროპის ახალი უნივერსიტეტი (ნიდერლანდები), ბერგენის უნივერსიტეტი (ნორვეგია) და ალკალას უნივერსიტეტი (ესპანეთი). არსებობს გეგმები, რომლის მიხედვითაც ორი სტუდენტი ერთი სემესტრით სალონიკის უნივერსიტეტში უნდა გაიგზავნოს და ასევე მოლაპარაკებები მიმდინარეობს სამხრეთ უელსის უნივერსიტეტთანაც. სასწავლო პროცესში ჩართულნი არიან უცხოელი პროფესორებიც, ხოლო ვარშავის უნივერსიტეტის კოლხური კულტურის შესწავლის საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობა სტუდენტებს ერთობლივი კვლევის შესაძლებლობას აძლევს.

მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი, სასურველია ძალისხმევის გაგრძელება საერთაშორისო შესაძლებლობების შემდგომი გამრავალფეროვნების მიზნით.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები შედარებით მაღალია, ისინი დასაქმებულნი არიან კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მათ რეგულარულად ჰქონდათ წვდომა ინფორმაციაზე დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სტაჟირებების თაობაზე. მტკიცებულებები ასევე მიუთითებს კვლევებსა და კონფერენციებში სტუდენტების აქტიურ ჩართულობაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტები განუწყვეტლივ იღებენ მხარდაჭერასა და კონსულტაციას აკადემიური დაგეგმვის, მიღწევებისა და კარიერული განვითარების საკითხებში. პროგრამა დაინტერესებულ პირებს მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო გამოცდილებას სთავაზობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თანამშრომლობის მემორანდუმები
- საკონფერენციო მასალები

- სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურის დებულება
- კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერის დოკუმენტაცია
- აკადემიური საბჭოს დადგენილება №39 (13/14)
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- სასურველია, დაწესებულებამ გაძლიეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაცია და გააფართოვოს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა
➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად, სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებს. ➢ სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, დაწესებულებამ შეიმუშავა დებულებები, რომლებიც არეგულირებს ნაშრომის ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების დანიშვნის, შეცვლის, უფლებების, პასუხისმგებლობებისა და ზედამხედველობის პროცესს.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური პერსონალის წევრი (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი), დამსახურებული პროფესორი ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი. ხელმძღვანელებს, კვლევით თემებსა და რეცენზენტებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო და რექტორი. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაშვებულია თანახელმძღვანელობა.

ხელმძღვანელები ეხმარებიან სტუდენტებს კვლევის დაგეგმვასა და ჩატარებაში, უზრუნველყოფენ ხელმძღვანელობას და კონსულტაციას, ასევე აკვირდებიან პროგრესს. კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს უწყვეტი მხარდაჭერა ხელმძღვანელების მხრიდან, მათ შორის დახმარება კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობაში.

წინა აკრედიტაციის რეკომენდაციაში ხაზგასმული იყო ნაშრომის შეფასების ობიექტურობის გაუმჯობესება და ისეთი კომპონენტების გაძლიერება, როგორიცაა შესავალი, ლიტერატურის შესაბამისობა და სამეცნიერო აპარატურა: *„რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის თითოეული კომპონენტი ობიექტურად შეფასდეს და საბოლოო შედეგი ზუსტად ასახავდეს ნაშრომის ხარისხს. გარდა ამისა, ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ნაშრომის შესავალ ნაწილს, გამოყენებული წყაროების შესაბამისობასა და მიზანშეწონილობას, ასევე სამეცნიერო აპარატურის სათანადო განვითარებას."* საპასუხოდ, დაწესებულებამ დახვეწა ნაშრომის დებულებები, დააზუსტა შეფასების კრიტერიუმები და გააუმჯობესა მეთოდოლოგიური მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ განახლებული წესების მიხედვით ჯერ არცერთი ნაშრომი არ არის დაცული, წარდგენილი საკურსო ნაშრომები, ადრინდელ ნაშრომებთან შედარებით, გაუმჯობესებულ სტრუქტურასა და აკადემიურ სიმკაცრეს ავლენს.

დაწესებულებამ ასევე დაადგინა ხელმძღვანელისა და სტუდენტის თანაფარდობა, რომლის მიხედვითაც ერთ ხელმძღვანელს შესაძლებლობა აქვს ზედამხედველობა გაუწიოს ხუთ სტუდენტს და ამჟამად ეს მაჩვენებელიც შენარჩუნებულია.

ზედამხედველობის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება უზრუნველყოფილია სტუდენტების მიერ ზედამხედველების ანონიმური შეფასებებითა და უკუკავშირის ანალიზით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტების ზედამხედველობა ეფექტურად ხორციელდება და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის აკადემიურ ხელმძღვანელობას.

მაგისტრანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	**2**
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	**6**
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	**0,3**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და შეფასების დებულებები
- სამაგისტრო პროგრამის დებულება
- კურსის ნაშრომები და თეზისები
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა](#)	შესაბამისობაშია

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული

სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიერ განსაზღვრული სასწავლო პროცესის მართვას, ასევე სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობებისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების სათანადო შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 4 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი, 1 დამსახურებული პროფესორი, 2 მოწვეული სპეციალისტი. ეროვნული აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესასრულებლად, 2024-2025 სასწავლო წლისთვის მოწვეულნი იყვნენ:

1. ხელოვნების ისტორიის აკადემიკოსი, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებით საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, რომელიც არის, სახვითი ხელოვნების ისტორიის სფეროში, 6 სახელმძღვანელოს ავტორი.
2. აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დოქტორანტი და ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელოვნების განყოფილების კურატორი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის პერსონალი დარგობრივი მიმართულებით**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [5]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[5]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სულ აკადემიური პერსონალი	**16**			
- პროფესორი	5			
- ასოცირებული პროფესორი	8			
- ასისტენტ–პროფესორი	1			
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	2			_
სამეცნიერო პერსონალი				_
მათ შორის საერთაშორისო პერსონალი				

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები;

- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები

- საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება No. 173. 28.02.2018. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ.

- აკადემიური საბჭოს 2025 წლის 23 ივნისის №61 (24/25) დადგენილება: „კონტრაქტით მოწვეული აკადემიური და დამსახურებული პერსონალის, მასწავლებლებისა და სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდოლოგიური დატვირთვის ნორმები“

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აწსუ-ში სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისა და შეფასების წესების თანახმად, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამშრომელი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), დამსახურებული პროფესორი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი - მოწვევის შესახებ, პროგრამის ხელმძღვანელის წინადადებით, გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომს შესაძლოა ასევე ჰყავდეს თანახელმძღვანელი (კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე). სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციაა დაეხმაროს მაგისტრანტს არჩეული სამაგისტრო კვლევითი თემის შესრულების პროცესის დაგეგმვაში, მისცეს რჩევები და ინსტრუქციები კვლევის პროცესთან დაკავშირებით და გაუწიოს კონსულტაცია წარმოშობილ პრობლემებთან დაკავშირებით. ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი და დარწმუნდეს, რომ მაგისტრანტმა შეიმუშავა სწორი გეგმა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის გასაგრძელებლად. ნაშრომის დასრულების შემდეგ ხელმძღვანელი ამზადებს დასკვნას. ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე და ფაკულტეტის დეკანს წარუდგინოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც დაასაბუთებს უარის თქმის მიზეზს. მაგისტრატურის ნაშრომის ხელმძღვანელები ჩართულნი არიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც შეესაბამება მაგისტრანტებისთვის შეთავაზებულ კვლევით მიმართულებებსა და თემებს. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად განისაზღვრება შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე აკადემიური პერსონალი, რომლებიც მიმართულებების შესაბამისად ჩართულნი არიან

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც შეესაბამება მაგისტრანტებისთვის შეთავაზებულ კვლევით მიმართულებებს.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**2**	**1**	
- პროფესორი	4+1 (დამსახურებული)	5	
- ასოცირებული პროფესორი	8	8	
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	
მოწვეული პერსონალი	2	1	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აწსუ) დებულების თანახმად, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები ინიშნებიან კვალიფიციური აკადემიური პერსონალიდან, მათ შორის აფილირებული პროფესორებიდან, ასოცირებული პროფესორებიდან, დამსახურებული პროფესორებიდან ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირებიდან, ხოლო ამ უკანასკნელთათვის, პროგრამის ხელმძღვანელის წინადადებით, საჭიროა დეპარტამენტის თანხმობა. გარკვეულ შემთხვევებში, კვლევის ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება დაინიშნოს თანახელმძღვანელიც. ხელმძღვანელის მოვალეობებში შედის სტუდენტისთვის კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაში ხელმძღვანელობა, მთელი პროცესის განმავლობაში რჩევებისა და კონსულტაციების გაწევა, პროგრესის ეტაპობრივი მონიტორინგი და სტუდენტის კვლევითი გეგმის სისწორის დადასტურება. ნაშრომის დასრულების შემდეგ, ხელმძღვანელი ამზადებს ოფიციალურ დასკვნას. ხელმძღვანელები ინარჩუნებენ უფლებას უარი თქვან ხელმძღვანელობაზე, იმ პირობით, თუკი წერილობით ახსნა- განმარტებას წარუდგენენ ფაკულტეტის დეკანს. მნიშვნელოვანია, რომ ხელმძღვანელი აქტიურად იყოს ჩართული სამეცნიერო კვლევაში და გამოქვეყნებული ჰქონდეს სტუდენტებისთვის შეთავაზებული კვლევითი მიმართულებების შესაბამისი ნაშრომები, რაც უზრუნველყოფს, რომ ეს როლი მხოლოდ აკადემიურად კომპეტენტურ და კვლევაში აქტიურად ჩართულ პერსონალს დაეკისროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესები

- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების პერსონალური მონაცემები (CV-ები)

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აწსუ მუდმივ რეჟიმში ახორციელებს პერსონალის შეფასებას, როგორც მისი პერსონალის პოლიტიკის ძირითად ელემენტს. შეფასება ორიენტირებულია სასწავლო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ საქმიანობაზე. სწავლებასა და მეთოდოლოგიურ შესრულებას ზედამხედველობას უწევენ ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელები, საგანმანათლებლო პროცესის მართვის სამსახური და რექტორის მოადგილე. პარალელურად ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ელექტრონული რეზიუმეების სისტემატურად შენახვა და რეგულარული განახლება.

თვითშეფასების ანგარიშებსა და დამხმარე დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აკადემიური პერსონალი რამდენიმე მექანიზმით ფასდება. აღნიშნული მოიცავს ყოველწლიურ სასწავლო

დატვირთვის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს, როგორც სწავლებას, ასევე კვლევით მუშაობას (ატარებენ დეპარტამენტის ხელმძღვანელები და ფაკულტეტის დეკანები), კოლეგიალური დაკვირვების პრაქტიკას და სტუდენტების უკუკავშირს. 2017 წლიდან, პედაგოგიური პერსონალის შესაფასებლად, ფაკულტეტი მუდმივად იყენებს კოლეგიალური ურთიერთდაკვირვების მიდგომას. მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის მიერ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით ჩატარებული გამოკითხვების მეშვეობით, იზომება სტუდენტების კმაყოფილება. ეს კვლევები შექმნილია ინსტიტუციური ეფექტურობის გასაძლიერებლად და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა სასწავლო კურსების განხორციელება, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება და შეფასების კრიტერიუმების სიცხადე. კვლევის შედეგების ანალიზი წარმოდგენას იძლევა პროგრამის შემუშავებაში სტუდენტების ჩართულობისა და ასევე უნივერსიტეტის მომსახურებებითა და სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულთან ურთიერთობით მათი კმაყოფილების შესახებ.

აწსუ იძლევა მრავალფეროვან შესაძლებლობებს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათ შორის: მონაწილეობა აკადემიურ კონფერენციებსა და სასწავლო ღონისძიებებში და ასევე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ სემინარებში, ანაზღაურებადი კვლევითი ან შემოქმედებითი შვებულება სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტის მეშვეობით და უცხო ენების კურსები. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, „ხელოვნების ისტორიისა და თეორიის“ პროგრამის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიული განვითარების აქტივობებში, რეგულარულად აქვეყნებენ კვლევებს და მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში.

წარმოდგენილი რეზიუმეების მიმოხილვა მიუთითებს, რომ უნივერსიტეტმა 2024 წლის შემდეგ, კიდევ უფრო გაუმჯობესა პროგრამა, პერსონალის მობილობის გაფართოებით სხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორობის გზით და საერთაშორისო პროექტებში, სასწავლო ინიციატივებსა და სემინარებში უფრო მეტი ჩართულობის ხელშეწყობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები)
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ;
- განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების მითითებით;
- ინტერვიუს შედეგები ადგილზე ვიზიტისას;

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მატერიალური რესურსები, ზოგადად, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, რაც დადასტურდა ადგილზე ვიზიტებითა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუებით. პროგრამას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ტექნიკური საშუალებები, რაც ხელს უწყობს მისი მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. მის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს შორისაა აწსუ-ს მთავარი აკადემიური შენობა (თამარ მეფის ქუჩა #59), ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკები სამკითხველო დარბაზებით, სამედიცინო მომსახურების განყოფილებები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ობიექტები, კომპიუტერული ცენტრები და ხელმისაწვდომობის ისეთი ობიექტები, როგორიცაა პანდუსები ინკლუზიური განათლებისთვის.

სწავლებისა და სწავლის სივრცეები — როგორიცაა სალექციო დარბაზები, პრაქტიკული აუდიტორიები და დეპარტამენტის შენობა-ნაგებობები — სათანადოდ არის აღჭურვილი. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სასწავლო გეგმასთან შესაბამისი აუცილებელი ლიტერატურა და დამატებითი სასწავლო მასალები, რაც უზრუნველყოფს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტების მიერ. 2011 წლიდან, აწსუ, მის ინტეგრირებულ ბიბლიოთეკის სისტემაში, მართავს ონლაინ კატალოგს (OPAC), რაც მომხმარებლებს რესურსების ფართო სპექტრზე წვდომის შესაძლებლობას აძლევს. გარდა ამისა, ცენტრალური ბიბლიოთეკა, სტუდენტებსა და პერსონალს სთავაზობს საერთაშორისო

ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე წვდომას, რაც მათ საშუალებას აძლევს ინფორმირებულნი იყვნენ თავიანთ აკადემიურ სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსები მის ოფიციალურ ვებგვერდზეა ჩამოთვლილი და მოიცავს სხვადასხვა ძირითად აკადემიურ მონაცემთა ბაზას. „ხელოვნების თეორიისა და ისტორიის“ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ისეთი პლატფორმებით, როგორიცაა Cambridge Core, Oxford Journals, Duke University Press, SAGE, ScienceDirect (ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების კოლექცია), Scopus, EBSCOhost და JSTOR. რესურსებით უზრუნველყოფის გარდა, ბიბლიოთეკა ასევე სთავაზობს მომხმარებლებს სხვადასხვა მომსახურებას და ტრენინგის შესაძლებლობებს. „ხელოვნების თეორიისა და ისტორიის“ პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ აწსუ-ს ბიბლიოთეკის შემდეგი მონაცემთა ბაზებით:

https://www.cambridge.org/core
http://www.eifl.net/e-resources/oxford/journals-collection
https://www.dukeupress.edu
https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche
https://www.sciencedirect.com/science/jrnlallbooks/sub/artsandhumanities
https://www.scopus.com/home.uri
http://search.epnet.com
https://www.jstor.org

ფიზიკური და ციფრული რესურსების გარდა, აწსუ, დაინტერესებულ პირებს, სტუდენტზე ორიენტირებულ დამხმარე სერვისებსაც სთავაზობს. სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური, რომელიც 2014 წელს TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში დაარსდა, როგორც სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს, ხელმძღვანელობასა და დახმარებას სთავაზობს. ის უზრუნველყოფს მუდმივ წვდომას ისეთ სერვისებზე, როგორიცაა კონსულტაცია, ომბუდსმენის მხარდაჭერა, ფსიქოლოგიური მომსახურება, რეპეტიტორობა და კურსდამთავრებულთა ქსელური მუშაობა. გარდა ამისა, 1994 წელს დაარსებული საგარეო ურთიერთობებისა და განვითარების სამსახური, უნივერსიტეტის საერთაშორისო ჩართულობისა და ინტეგრაციის ხელშეწყობაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ის ასევე უზრუნველყოფს საერთაშორისო სტუდენტებისთვის შესაბამისი დამხმარე სერვისების ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- აწსუ-ს ვებგვერდი https://www.atsu.edu.ge/en/home
- აწსუ-ს ბიბლიოთეკა http://atsu.library.ac.ge
- ექსკურსიები ადგილზე ვიზიტის მსვლელობისას
- ინტერვიუები შედეგები ადგილზე ვიზიტის მსვლელობისას;

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი იქმნება ფორმალიზებული პროცესის მეშვეობით, რაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის ფინანსურ მენეჯმენტთან და ცენტრალურ ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობას. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს, რომ პროგრამის ეფექტური განხორციელებისა და მდგრადობისთვის საჭირო ყველა რესურსი სისტემატურად იყოს იდენტიფიცირებული და დაწესებულების ერთიან ბიუჯეტში გათვალისწინებული. ფინანსური განაწილებები ყოვლისმომცველია და შესაბამისად ვრცელდება ძირითად სფეროებზე, მათ შორის სწავლებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე (როგორიცაა აკადემიური პერსონალის ანაზღაურება და სასწავლო რესურსები), ასევე პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ ადმინისტრაციულ და ოპერაციულ ხარჯებზე.

ადმინისტრაცია ადასტურებს, რომ პროგრამა უზრუნვეყოფილია ადეკვატური ფინანსური რესურსებით, რაც მიუთითებს უწყვეტი ფუნქციონირებისა და განვითარების მიმართ მის ინსტიტუციურ ვალდებულაზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს, როგორც სტუდენტების, ასევე პერსონალის ჩართულობას სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში. ამ ვალდებულების დასტურია საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა, რაც ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებას, კვლევის გავრცელებასა და აკადემიური ხარისხის საერთო გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამას აქვს საკმარისი ფინანსური მხარდაჭერა და რესურსების განაწილების შესაბამისი მექანიზმები. გამომდინარე აქედან, შესაბამისი სტანდარტი შეფასდა, როგორც სრულად დაკმაყოფილებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აწსუ- ს წარმომადგენლობითი საბჭოს No175 დადგენილება
- (პროგრამების ფინანსური მხარდაჭერის დასაბუთების პრინციპები);
- აწსუ- ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 21 დეკემბრის No82 დადგენილება,
- აწსუ- ს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის ფორმის დამტკიცების შესახებ.
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი.

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა](#)	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აწსუ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მიუთითებს სტრუქტურირებულ, პოლიტიკაზე ორიენტირებულ მიდგომაზე, რომელიც ეფუძნება ეროვნულ კანონმდებლობასა და საუნივერსიტეტო მმართველობას. PDCA ციკლის, როგორც ცენტრალური მექანიზმის, დანერგვა უზრუნველყოფს, რომ ხარისხის პროცესები ციკლური და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული იყოს. წლების განმავლობაში, განსაკუთრებით 2015 წლიდან, აწსუ-მ შიდა პროცესების სისტემატიზაციის მიმართულებით ხელშესახები ძალისხმევა გასწია, საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებაზე ორიენტიაციით.

სამი ძირითადი პოლიტიკა — EP-QA, RE-QA და ME-QA — კარგად არის შერწყმული და განათლების, კვლევისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველსაყოფად ყოვლისმომცველ ჩარჩოს ქმნის. შეფასების ინსტრუმენტების შექმნისა და შეფასების შედეგების ანალიზის პროცესში, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ცალკე აღსანიშნავი ძლიერი მხარეა მმართველობის სხვადასხვა დონისა და ძირითადი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რომელიც მოიცავს სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და გარე პარტნიორებს, მაგალითად დამსაქმებლებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს პერსონალის მომზადებასა და შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რასაც მხარს უჭერს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა. პროგრამის პერსონალი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორიცაა შეფასების სისტემაში ცვლილებები, ლიტერატურის განახლება ან სხვა.

საერთო ჯამში, აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მეთოდური, მონაწილეობითი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა-მექანიზმები
- კითხვარები
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება
- ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[5.1. შიდა ხარისხის შეფასება](#)	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აწსუ) გარე შეფასების მექანიზმებს თავისი პროგრამების შემუშავებისა და გაუმჯობესების პროცესებში აერთიანებს. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან (NCEQE) და პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა ადასტურებს დაწესებულების ღიაობას გარე ვალიდაციის მიმართ და პროგრამების ეროვნულ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართ მის ვალდებულებას.

გარე კოლეგიალური შეფასებებისა და ექსპერტების რეკომენდაციების გამოყენება უნივერსიტეტის მიერ, როგორც ჩანს, სისტემატურ ხასიათს ატარებს და აკადემიური საზოგადოების მხრიდან კარგად არის მიღებული. განსაკუთრებით დადებითია, რომ ბოლოდროინდელი გარე შეფასებებიდან მიღებული რეკომენდაციები სრულად იქნა გათვალისწინებული და ინტეგრირებული პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ. აღნიშნული მიუთითებს, რომ აწსუ- ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა არა მხოლოდ შესაბამისი, არამედ რეაგირებადი და ადაპტირებადიც არის.

საერთო ჯამში, აწსუ-ში დაცულია ბალანსი შიდა პროცესებსა და გარე ხარისხის ჩართულობას შორის, რაც უნივერსიტეტს გამოარჩევს, როგორც თანამშრომლობით და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ დაწესებულებას. შეფასების შემდგომი გავლენის დოკუმენტირება და კომუნიკაციის გაძლიერება ამ სისტემას კიდევ უფრო გამჭვირვალეს და სტაბილურს გახდიდა. საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა ღირებული იქნება. საერთაშორისო ექსპერტთა რჩევების უფრო ფართო გათვალისწინებამ შესაძლოა პროგრამის შემდგომ გაუმჯობესებას შეუწყოს ხელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- სასურველია, საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (აწსუ) დაამკვიდრა თავისი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების ციკლური სისტემა, რაც შიდა ხარისხის უზრუნველყოფის საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაზე მიუთითებს. უნივერსიტეტი იყენებს სტრუქტურირებულ მიდგომას EP-QA 1.2 პროცედურის მეშვეობით, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ვადებს, პასუხისმგებლობებს და მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის კონკრეტულ ინსტრუმენტებს.

მრავალწყაროიანი უკუკავშირის მექანიზმი, რომელშიც სტუდენტები, მასწავლებლები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები მონაწილეობენ, პროგრამების ხარისხისა და შესაბამისობის შესახებ ფართო პერსპექტივას ასახავს. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, მატერიალური რესურსების შეფასებისა და ურთიერთდასწრების პრაქტიკის სისტემური გამოყენება მიუთითებს დაწესებულების მიზანმიმართულ ძალისხმევაზე, დინამიკური და საჭიროებებზე მორგებული მიდგომით შეაფასოს როგორც სწავლის შედეგები, ასევე სწავლების პროცესები. პროგრამის მოდერნიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, ხორციელდება პროგრამის შესწორება/ადაპტირება;

2017 წლიდან აწსუ საკუთარ ხარისხის სისტემაში ნერგავს ურთიერთდასწრების პოლიტიკას, რაც ხელს უწყობს თანატოლთა სწავლებას და აკადემიური პერსონალის უწყვეტ გაუმჯობესებას. ეს ხელს უწყობს პროფესიული განვითარების კულტურის ჩამოყალიბებას და სასწავლო პრაქტიკის დახვეწას. როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, თანამშრომლები აღნიშნულით კმაყოფილებას გამოხატავენ.

მაგისტრანტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, ასევე აკადემიური ხელმძღვანელობის ხარისხის შეფასებაში, რაც უზრუნველყოფს მნიშვნელოვან უკუკავშირს და უწყვეტ გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

გარდა ამისა, პერიოდულად პროგრამა სხვა უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ მსგავს პროგრამებთან არის შედარებული, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ დონეზე, რაც ხარისხის უზრუნველყოფაში საერთაშორისო ორიენტაციაზე მეტყველებს.

მონიტორინგის პროცესი, როგორც ჩანს, მუდმივად არის დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებასთან, როგორც ფაკულტეტის, ასევე პროგრამის დონეზე, რაც აძლიერებს უკუკავშირის ციკლს, რომელიც აუცილებელია ეფექტური ხარისხის მართვისთვის.

საერთო ჯამში, აწსუ კარგად დოკუმენტირებულ შიდა ხარისხის მონიტორინგის ჩარჩოს ფლობს, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და რეაგირებს ცვლილებებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სასწავლო გეგმა
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესები
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის მსვლელობისას

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება](#)	შესაბამისობაშია